MES 9 21 0001313698

06/12/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 19.11.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:25 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომშისაბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ანა ფირცხალაშვილი -** შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
6. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

9. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
10. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
11. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
13. **დიანამ ჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
14. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
15. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
16. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
17. **მაკაკა ჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნიკოლოზი ფარჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2	ნიკა გიგაური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
6	შოთა კეჟერაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

7	ანი ბილანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
8	თორნიკე ბაქაქური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ვახტანგ ლეჟავა	**შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი**	რექტორი	I
2	მარინა ქარჩავა		პრორექტორი	I
3	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	I
4	მარიამ მოქია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	I
5	რევაზ ხოფერია		სამართლის სკოლის დეკანი	I
6	ნანა სანებლიძე		სამართლის სკოლის კოორდინატორი	I
7	ჯემალ ძაგანია	**სსიპ - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**	რექტორი	II
8	ვლადიმერ ბოჟაძე		ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	II
9	ტრისტან გულბიანი		მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანი	II
10	ვალის ლიპარტელიანი		პროგრამის ხელმძღვანელი	II
11	მაია ხურცილავა		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
12	მაია მარგველაშვილი		მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი	II

13	გიორგი გვალია	**სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	რექტორის მოადგილე	III
	ემზარ ჯგერენაია		პროფესორი	
14	მამუკა ნადარეიშვილი		პროფესორი	III
15	თამუნა ხოშტარია		ასოცირებული პროფესორი	III
16	ნინო რჩეულიშვილი		ასისტენტ-პროფესორი	III
12	მარიამ დალაქიშვილი		ასისტენტ-პროფესორი	III
13	ხათუნა ნაჭყებია		მოწვეული ლექტორი	III
14	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
15	მაკა ლაშხია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	III
16	ნინო მატარაძე		დეკანი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	III
17	ზვიად ზალიკიანი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი,	III
18	დავით მახვილაძე	**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
19	რუსუდან ქუთათელაძე		სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი	IV
20	ნინო ჩიკვილაძე		სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
21	ევგენი ბარათაშვილი		„ბიზნესის ადმინისტრირების“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
22	ანზორ აბრალავა		სტუ-ის „ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობისა და მენეჯმენტის“	IV

			საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი	
23	ნიკო ბაკაშვილი		შპს აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“ ხელმძღვანელი, სტუ-ის „ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობისა და მენეჯმენტის“ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრი	**IV**
24	თამარ ღამბაშიძე		ასოცირებული პროფესორი	**IV**
25	ნინო ფაილოძე		პროფესორი	**IV**
26	გიორგი ბაღათურია		პროფესორი	**IV**
27	თამარ ბერიძე		პროფესორი	**IV**
28	ვალერი მოსიაშვილი		მოწვეული პროფესორი	**IV**
29	ნანული დანელია		ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	**IV**

კრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ნინო ბოგვერაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	მერაბ ხოხობაია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	ზურაბ კაკაბაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	მამუკა ქარქაშაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ლია წულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	ფლორა ესებუა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	მიხეილ ბიჭია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ნანა ფირცხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	ნათია დაღელიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა

უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27[5]-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოსწევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2.სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

- **კი**

შუამდგომლობა ინიცირებული იყო ცენტრის მიერ და გულისხმობდა საბჭოს დღის წესრიგში შემდეგი საკითხების დამატებას:
5.შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის საბჭოს 896840, 9/25/2020 გადაწყვეტილებისა და შუამდგომლობის საფუძველზე, 2021 წლის გეგმიური მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული შეფასების გაუქმებისა და საკითხის გეგმიური მონიტორინგის გეგმიდან ამოღების შესახებ;
6.შპს საქართველოს უნივერსიტეტის "სამართალმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის საბჭოს №1054561, 30/10/2021 გადაწყვეტილებისა და შუამდგომლობის საფუძველზე, 2021 წლის გეგმიური მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული შეფასების გაუქმებისა და საკითხის გეგმიური მონიტორინგის გეგმიდან ამოღების შესახებ;
7.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს №1189677, 12/11/2020 გადაწყვეტილებისა და შუამდგომლობის საფუძველზე, 2021 წლის გეგმიური მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული შეფასების გაუქმებისა და საკითხის გეგმიური მონიტორინგის გეგმიდან ამოღების შესახებ.

საბჭომ გადაწყვიტა, რომ აღნიშნული შუამდგომლობების შესახებ განხილვა მომდევნო საბჭოს სხდომაზე გაგრძელდეს, რათა საბჭო დამატებით გაეცნობოდა დოკუმენტაციას.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

2.სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირება სპორტის მენეჯმენტში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1.პირველი საკითხი : შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	2020 წლის 8 დეკემბერი N1173236
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 08 დეკემბრის სექტემბრის გადაწყვეტილება N 1173236
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი 0314
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	241
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N.240, თბილისი 0159, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ელიზბარ ელიზბარაშვილი
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 08 დეკემბრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს იმავე საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის (შემდგომში „ანგარიში“) წარმოდგენის ვადად განესაზღვრა 2021 წლის 08 სექტემბერი. დასტურდება, რომ უნივერსიტეტს ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით ვადის დაცვით - 2021 წლის 08 სექტემბერს - აქვს წარმოდგენილი. ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ საბჭოს „რეკომენდაციების შესწავლის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განიხილა სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიმართ დადგენილი რეკომენდაციები. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტის მიერ საბჭოს რეკომენდაციების შესრულება განხორციელდა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:
1. მიზანშეწონილია, დოკუმენტურად აისახოს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი და ანალიზის შედეგების მიხედვით პროგრამაში განსახორციელებელი/განხორციელებული ცვლილებები. სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი, სამიზნე ნიშნულებთან დადარება, პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების ანალიზის განხორციელება შესაბამისი შემაჯამებელი ან პერიოდული დოკუმენტების დაგეგმვა/განხორციელებისათვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მიერ ანალიზის ეფექტურად განხორციელებას, ინფორმაციის თავმოყრას და გამოვლენილი ხარვეზების შესაბამისად ცვლილებების საჭიროებებს, არსებობის შემთხვევაში.
2. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის შემუშავებასა და შემდგომ განვითარებაში მოქმედი სტუდენტების ეფექტური ჩართულობის ღონისძიებები.
3. მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსების მუდმივი გადამუშავება როგორც მასალის განახლების, ასევე მოცულობის კუთხით და ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით.
4. აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, მემორანდუმებში განისაზღვროს პრაქტიკასთან და სტაჟირებასთან დაკავშირებით არსებული

დეტალები (კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს სტუდენტთა რაოდენობასთან დაკავშირებით).

5. მიზანშეწონილია სილაბუსებში მკაფიოდ და ამომწურავად იყოს გაწერილი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. სტუდენტს უნდა ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ, რა კრიტერიუმებითა და მეთოდებით შეფასდება.

6. სტუდენტების შედეგების გასაჩივრების არსებული პრაქტიკა სამართლებრივად აისახოს და გაიწეროს შესაბამის დოკუმენტებში, რათა გარეშე პირებისათვის უფრო ნათელი იყოს გასაჩივრების პროცედურული ეტაპები.

7. საბაკალავრო პროგრამის სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნებისათვის მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა იზრუნოს გარე ხარისხის შეფასებაზე, რათა პროგრამა ფასდებოდეს მესამე პირის მხრიდან პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

8. მიზანშეწონილია, დაიხვეწოს უსდ-ის მიერ სტუდენტთა გამოკითხვის ჩატარების წესი და მეთოდოლოგია, რათა ისასახავდეს რეალურ სურათს და მოხდეს ამ შედეგების ანალიზი.

9. მიზანშეწონილია, შეიქმნას პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგებისა და ამ შედეგების გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მასშტაბით დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის ე.წ. "ტოტალური სისტემა", რომელშიც ჩართულნი არიან, როგორც უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები, ასევე სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა გარე პარტნიორები. უნივერსიტეტის ხარისხის სისტემა პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდების გამოყენებით უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის, ანალიზისა და პროგრამის გაუმჯობესებისთვის შესაბამისი ქმედებების დაგეგმვას/განხორციელებას. გარდა ამისა, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვისა და გეგმის დოკუმენტზე დაყრდნობით შემუშავებულია 3-წლიანი სამოქმედო გეგმა რომლის მონიტორინგი ხორციელდება მუდმივ რეჟიმში და ყოველწლიურად ხდება მონიტორინგის ანგარიშის შედგენა და შესაბამისად, ხდება სამოქმედო გეგმის განახლება.

აღსანიშნავია ასევე საკითხი გარე შეფასებასთან დაკავშირებით, კერძოდ სამართლის საბაკალავრო პროგრამამ 2020 წელს გაიარა აკრედიტაცია და აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის #65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პროცესი სწორედაც რომ წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გარე შეფასების მექანიზმს. გარდა ამისა, გარე ხარისხის შეფასების მიზნით, 2023 წლისთვის დაგეგმილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის #65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 29-ე მუხლის შესაბამისად, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის წარდგენა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ დამსაქმებელთან ხელშეკრულებისა და მემორანდუმის ფარგლებში მნიშვნელოვანია გაიწეროს სტაჟირების დროს თუ კონკრეტულად

რისი გაკეთება დაევალებათ სტუდენტებს და რა თანამშრომლობა შედგება, რომ დოკუმენტის წამკითხველს ჰქონდეს დეტალური ინფორმაცია საკითხთან დაკავშირებით, აღნიშნული ასევე წარმოადგენს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნას. შესაბამისად, მსგავსი დოკუმენტი მეტად მისაღები და უკეთესი იქნება, გარდა ამისა დაწესებულების რესურსის ფარგლებში აღნიშნული სავსებით შესაძლებელია.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ მოუწოდა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, თუ რა გახდა პირველი რეკომენდაციის განსაზღვრის საფუძველი, ვინაიდან დაწესებულების პოზიცია რეკომენდაციასთან დაკავშირებით სავსებით ლოგიკური და მისაღებია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების გამოკვლევისას, აღნიშნული მექანიზმების ამსახველი კონკრეტული დოკუმენტი დაწესებულებაში არ არსებობდა. ეს არ გულისხმობს, რომ უნივერსიტეტის არ ახორციელებს შეფასებას, უბრალოდ არ არსებობს ამ პროცესის ამსახველი შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი. შესაბამისად დოკუმენტური დასაბუთება იყო არა საკმარისი, თუმცა შედეგობრივი თვალსაზრისით პირდაპირ დასტურდება რომ დაწესებულების დასაქმების მაჩვენებელი 95%-ია, ასევე მაღალია აბიტურიენტების მხრიდან მოთხოვნა ამ კონკრეტულ პროგრამაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აღნიშნული პროცესი უკვე დაწყებულია და დაწესებულება ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციას. პროცესი განგრძობადია, რადგან ის არ გახლავთ ცალმხრივი და მოითხოვს პარტნიორი მხარის თანხმობას და მხარდაჭერას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამით საკმაოდ დიდი დისკომფორტი ექმნებათ კომპანიებს. საანგარიშო პერიოდში, რეკომენდაციის მოთხოვნის გათვალისწინებით, მოხდა 2 ახალი მემორანდუმის გაფორმება და 2 არსებული მემორანდუმის მოდიფიცირება. სტუდენტებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს სტაჟირების მოძებნა და ხშირს შემთხვევაში არჩევანის შესაძლებლობაც აქვთ.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:25 სთ.
დასრულების დრო: 16:26 სთ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

16:30 საათზე საბჭოს სხდომას შეუერთდა თეონა მატარაძე

2.მეორე საკითხი : .სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნეს ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი.ჭავჭავაძის გამზირი N 49, ქ.თბილისი, 0162, საქართველო. ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N26, ქ. თბილისი, 0186, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით 2021 წლის 5 ოქტომბერს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის სტუდენტებთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა ონლაინ რეჟიმში დაეთვალიერებინა დაწესებულების სასწავლო ინფრასტრუქტურა და ბიბლიოთეკა. გადამოწმდა წიგნების ხელმისაწვდომობა. დაწესებულებამ, თავის მხრივ, უზრუნველყო მშვიდ აკადემიურ გარემოში ვიზიტის პროცესის განხორციელება.

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგებში ცალკეული სასწავლო კურსების მონაწილეობის ლოგიკა და გამოიკვეთოს თუ როგორ ვითარდება პროგრამის სწავლის შედეგები გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების დონეზე;

2. რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში დაემატოს ბუღალტრული აღრიცხვის სასწავლო კურსი, სადაც სრულად იქნება წარმოდგენილი ბუღალტრული აღრიცხვის ფუნდამენტური საკითხები ან მოხდეს აღნიშნული საკითხების გათვალისწინება ფინანსური აღრიცხვის კურსში;

3. რეკომენდებულია მენეჯმენტის საფუძვლების სასწავლო კურსის შინაარსის და სწავლის შედეგების კორექტირება;

4. რეკომენდებულია ,,გაყიდვები და ფინანსების მოზიდვა სპორტში“ სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსში გამოყენებულ სავალდებულო ლიტერატურას დაემატოს შესაბამისი პროფილური სახელმძღვანელო სპორტში ფინანსების მოზიდვის და სპონსორობის შესახებ;

5. რეკომენდებულია, დაწესებულებამ არ შეიკავოს თავი სასწავლო კურსების სილაბუსებში არც ქართულ ენაზე უკვე არსებული დარგობრივი ლიტერატურის გამოყენებაზე და არც

დამხმარე ლიტერატურის მითითებაზე;

6. რეკომენდებულია პროექტების მართვის სილაბუსში გათვალისწინებული იქნეს პროექტების მართვის ტექნოლოგიური უზრუნველყოფის სპეციფიკა და სტუდენტებმა შეისწავლონ პროექტების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიური უზრუნველყოფის გამოყენების საფუძვლები, მაგალითად შეისწავლონ ,,Ms Project" გამოყენება;

7. რეკომენდებულია პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსებში ((ბიზნეს კომუნიკაციები (Business Communication - V. Bisen, New Age Int. Publishers, 2009); სპორტის ეკონომიკა (Sports Economics (Theory, Evidence and Policy), Paul Downward, Alistair Dawson, Trudo Dejonghe, Butterworth– Heinemann publications 2009); სპორტის მარკეტინგი (Sport Marketing, 3rd edition, Bernard Mullin, 6 Stephen Hardy, William Sutton, Pub. Human Kinetics, 2007); სტრატეგიული მენეჯმენტი (სტრატეგიული მენეჯმენტი, ეკა ჩოხელი, გამომცემლობა უნივერსი, თბილისი 2009 წელი)) მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება, რათა სრულად იქნეს მოცული სწავლის სფეროს აქტუალური მიღწევები;

8. რეკომენდებულია, შეფასების სისტემის მეტი გამჭვირვალეობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში პრეზენტაციის ნაწილში გამოყენებული შეფასების ქულების რანჟირება და შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება;

9. რეკომენდებულია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდების მეტი დივერსიფიკაცია, მეტად მორგება კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკასთან, მაგალითად, პროექტების მართვის სასწავლო კურსში გათვალისწინებული უნდა იქნეს პროექტების წერა და დასკვნითი შეფასება განხორციელდეს შეფასების სისტემაში კურსის ფარგლებში შესრულებული პროექტის მონაწილეობით;

10. რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ინგლისურენოვან სავალდებულო ლიტერატურაზე ისეთი ქართულენოვანი სასწავლო მასალების მომზადება, რაც სრულფასოვნად ჩაანაცვლებს კურსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურას და აღნიშნული მასალები განთავსებული იქნება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სტუდენტებისათვის მისი ხელმისაწვდომობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში ასახულ რეკომენდაციებზე, კერძოდ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების უმეტესობა მისაღებია და მათი გათვალისწინება მოხდება საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფასთან ერთად, მით უმეტეს, რომ პროგრამის გარე შეფასების რეკომენდაციები (წარმოდგენილი მინესოტას უნივერსიტეტის პროფესორი ლისა კიჰის მიერ) კერძოდ: კურსის „კალკულუსი 2"-ის ამოღება და ჩანაცვლება „ბიზნესის/სპორტის მენეჯმენტის ეთიკის" კურსით; კურსის „სპორტის სახელმწიფო მართვის საფუძვლების" სახელწოდების შეცვლა „სპორტის მმართველობა და პოლიტიკით" შინაარსის შესაბამისი კორექტირებით, მოითხოვს გარკვეული მცირედი ცვლილებების შეტანას კურიკულუმში. ამასთან აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გარე შეფასება მივიღეთ ოთხი თვის თანამშრომლობის შემდეგ და შესაბამისი კორექტირება ვერ მოხერხდა პრაქტიკულად დროის უქონლობის გამო (შეფასება მიღებული იქნა პროგრამის თვითშეფასების ატვირთვამდე ორი დღით ადრე). ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის რიგი რეკომენდაციები მოითხოვს დეტალურ გაანალიზებას, ხოლო ზოგიერთი მათგანი უკვე გათვალისწინებულია.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, სოციალური მედია მარკეტინგში პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია და თემების სახით წარმოდგენილია პროგრამის რამდენიმე ძირითად სასწავლო კურსში, აღნიშნულ საკითხებს საერთო ჯამში ეთმობა 9 ლექცია და 18 სემინარი, რაც ასახულია სასწავლო კურსის სწავლის შედეგებშიც და რის გამოც ამ კურსის ცალკე შეტანა პროგრამაში არ ჩაითვალა საჭიროდ. კერძოდ, ,,სპორტის მარკეტინგის" სასწავლო კურსი

ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: ,,პრომოუშენი და გაყიდვები; პროდუქტის განთავსება ან დისტრიბუცია; ელექტრონული მედია; საზოგადოებასთან ურთიერთობები - მედიის გავლენა საზოგადოებასთან ურთიერთობებში სპორტში. ,,სპორტული ღონისძიებების მენეჯმენტი" - ღონისძიების პრომოუშენი, მედიასთან ურთიერთობა და პრომოუშენი . აღნიშნული საკითხი პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის მიერ გაანალიზდა ზემოთ მოყვანილი ამერიკული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. სადაც ასეთი კურსი ვერ იქნა მოძიებული ვერც ერთ ანალოგიურად შეიძლება ითქვას კურსზე „ლოჯისტიკის მენეჯმენტი". მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტი კიდევ ერთხელ დაუბრუნდება ამ საკითხს.

რაც შეეხება მე-9 რეკომენდაციას, აღნიშნული რეკომენდაცია აბსოლუტურად მისაღებია და სილაბუსებში პრეზენტაციების ნაწილში გამოყენებული შეფასების ქულების რანჟირება და კრიტერიუმების დაზუსტება ყველა შესაბამის სილაბუსში ჩაემატება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-11 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ უნივერსიტეტის მიერ უკვე შეძენილია უკლებლივ ყველა სახელმძღვანელოს როგორც ბეჭდური, ისე ციფრული ვერსია და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. რიგი სახელმძღვანელოების ქართულენოვანი რიდერები უკვე მზადაა, რიგიც მზადების პროცესშია და პროგრამის დაწყებამდე რიდერებით სრულყოფილად იქნება უზრუნველყოფილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მიერ სასწავლო ლიტერატურის განახლება უფრო ახალი გამოცემებით, დაგეგმილია და განხორციელდება პროგრამის მსვლელობისას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ უამრავ სასწავლო კურსში მითითებული ძირითადი ლიტერატურა არის ინგლისურ ენაზე, თუმცა პროგრამის სწავლების ენა არის ქართული. აქედან გამომდინარე საბჭოს წევრმა დააზუსტა ასახეს თუ არა მოცემული შეუსაბამობა ექსპერტებმა მეხუთე რეკომენდაციის სახით. საბჭოს წევრის მოსაზრებით ბაკალავრიატის დონეზე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებით სწავლა სერიოზული შეუსაბამობაა, შესაბამისად, მნიშვნელოვანია საკითხის დეტალური განხილვა.

საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კვლევაში მოცემულია, რომ სპორტზე მოთხოვნას დღეს ქმნის 3000 ორგანიზაცია, თუმცა დაწესებულების მიერ გამოკითხული იქნა 20 ორგანიზაცია, რაც არის 3000-ის 0.7%. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად რელევანტურია გამოკითხვა და იძლევა თუ არა წარმოდგენას თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხონებზე. აღსანიშნავია ასევე, რომ დაწესებულების მიერ არ არის წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტი. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ახალია, აუცილებელი ჩანდეს თუ საიდან მოხდება ხარჯების დაფარვა. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა არსებობს თუ არა პროგრამის აკადემიური მდგრადობა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ ექსპერტებს დასკვნაში აღნიშნული აქვთ, რომ მთელი რიგი სილაბუსები გადასახედია. მნიშვნელოვანია, რომ მენეჯმენტის მიმართულებით სილაბუსების აუცილებლად საჭიროებენ გადახედვას, ვინაიდან გარდა ექსპერტების მიერ რეკომენდაციაში მოცემული ნაწილისა, ხდება საკითხების დუბლირება, განსაკუთრებით ,,ლიდერობის", ,,მენეჯმენტის საფუძვლების", ,,ორგანიზაციული ქცევისა" და ,,ადამიანური რესურსების მენეჯმენტი" სილაბუსებში. საბოლოო ჯამში კი გამოდის ისე, რომ მოცემული სილაბუსები განსაზღვრულ სწავლის შედეგებზე ვერ გადის, გარდა ამისა, თავად სწავლის შედეგებიც არ არის სწორად ფორმულირებული. მნიშვნელოვანია ასევე, რომ მითითებული ძირითადი ლიტერატურა, კონტენტის კუთხით არ შეესაბამება კურსის მიზნებსა და შინაარსს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ლიტერატურასთან დაკავშირებით პრობლემა ნამდვილად არსებობს, ვინაიდან პროგრამა არის ქართულენოვანი და განსაზღვრულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ

დაწესებულების მხრიდან ქართული რიდერების მომზადება უკვე დაწყებულია. მე-5 რეკომენდაციის გარდა, საკითხი ასევე განსაზღვრულია მე-10 რეკომენდაციაში, კერძოდ რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ინგლისურენოვან სავალდებულო ლიტერატურაზე ისეთი ქართულენოვანი სასწავლო მასალების მომზადება, რაც სრულფასოვნად ჩაანაცვლებს კურსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურას და აღნიშნული მასალები განთავსებული იქნება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სტუდენტებისათვის მისი ხელმისაწვდომობა.
რაც შეეხება ბიუჯეტის საკითხს, ექსპერტებმა იხილეს კონსოლიდირებული ბიუჯეტი და ვინაიდან დაწესებულება სახელმწიფო უნივერსიტეტს წარმოადგენს საბჭოს წევრის მიერ ნახსენები ყველა საკითხი და ბიუჯეტთან დაკავშირებული დეტალები განსაზღვრულია რჩევების სახით.
საბჭოს წევრმა, დააზუსტა თუ რა დრო დასჭირდება დაწესებულებას იმისთვის, რომ მოამზადოს ყველა აუცილებელი რიდერი.
ექსპერტმა განმარტა, რომ ჯგუფის მოსაზრებით დაწესებულების აღნიშნულის განხორციელება 6 თვეში შეუძლია, გამომდინარე იქიდან, რომ საკითხზე მუშაობა უკვე დაწყებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ გამოკითხული იყო არა მხოლოდ 20 ორგანიზაცია, არამედ სხვადასხვა კერძო ორგანიზაციები და ფედერაციები. კვლევა სრულად რელევანტურია, დაწესებულება ორჯერ შეხვდა დამსაქმებლებს და გათვალისწინა მათი მოთხოვნები მაქსიმალურად. გამოკითხვის შედეგად დადგინდა რომ ინგლისური ენის მცოდნეების მოთხოვნა ბაზარზე საკმაოდ დიდია, შესაბამისად სტუდენტებს მე-5 სემესტრიდან მოუწევთ ინგლისურ ენოვან სახელმძღვანელოებთან მუშაობა, ხოლო რიდერი მათთვის იქნება მხოლოდ დამხმარე საშუალება.
რაც შეეხება სასწავლო კურსებსა და მასში მოცემული სახელმძღვანელოების შესაბამისობას, სასწავლო კურსების შედგენილია იმ პროფესორების მიერ, რომლებიც უკვე წლებია მუშაობენ დაწესებულებაში, შესაბამისად მათი მყისიერი ცვლილება ვერ მოხდება. პროგრამა არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც მუდმივად ვითარდება და იხვეწება, შესაბამისად ცვლილებაც განხორციელდება თანმიმდევრულად. რაც შეეხება მენეჯმენტს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უკვე აღარ ისწავლება.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ მაგალითად ,,ლიდერობა“ ისწავლება მხოლოდ ერთი ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოთი, თუმცა აღნიშნული სახელმძღვანელო ამ სასწავლო კურსს ვერ დაფარავს, რაც წესით ლიდერობის არსი უნდა იყოს. არსებობს უფრო სხვა ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რომელიც უმჯობესია გამოყენებული იყოს სასწავლო კურსის სწავლების დროს. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია გადაიხედოს სასწავლო კურსები და ძირითადი ლიტერატურა განისაზღვროს მიზნებიდან გამომდინარე.
საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა, აღნიშნა, რომ უმჯობესი ხომ არ იქნებოდა თუ არსებობს სხვა სახელმძღვანელოები ისინიც მითითებული ყოფილიყო სილაბუსში, რადგან სტუდენტს ექნება საშუალება, რომ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს სხვა სახელმძღვანელოც.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიდგომა მეტად ინგლისურენოვანია, გარდა ამისა, ყველა ლექტორი ვალდებული იქნება ლექციაზე განიხილოს საქართველოში მიმდინარე აქტუალური მოვლენები.
16:50 საათზე სხდომა დატოვა ნინო ჭალაგანიძემ
17:00 საათზე სხდომა დატოვა ანა ფირცხალაშვილმა

რაც შეეხება ბიუჯეტის საკითხს, დაწესებულება სახელმწიფო უნივერსიტეტია და ბიუჯეტიც ცენტრალიზებულია, შესაბამისად ადმინისტრაციამ არ ჩათვალა საჭიროდ, რომ გაკეთებულიყო ცალკე ბიუჯეტი.
მნიშვნელოვანია ასევე, რომ უნივერსიტეტის მიერ უკვე შეძენილია უკლებლივ ყველა სახელმძღვანელოს როგორც ბეჭდური, ისე ციფრული ვერსია და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. რიგი სახელმძღვანელოების ქართულენოვანი რიდერები უკვე მზადაა, რიგიც მზადების პროცესშია და პროგრამის დაწყებამდე რიდერებით სრულყოფილად იქნება უზრუნველყოფილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მიერ სასწავლო ლიტერატურის განახლება უფრო ახალი გამოცემებით, დაგეგმილია და განხორციელდება პროგრამის მსვლელობისას.
რაც შეეხება აკადემიურ მდგრადობას ამ კუთხით დაწესებულებაში არ არსებობს რაიმე პრობლემა თუ ხარვეზი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014-2020 წლებში, სადაც მეოთხე თავში სასპორტო განათლების სისტემაზეა საუბარი. საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა ხომ არ მოხდა აღნიშნული დოკუმენტის განახლება, ვინაიდან მოცემული დოკუმენტი უკვე აღარ არის ვალიდური.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დოკუმენტი არ არის ვალიდური, ვინაიდან დოკუმენტში ისეთი პუნქტებია შეტანილი, რომლის პროფილის სპეციალისტებსაც სპორტი უნივერსიტეტი არ ამზადებს. ამ ეტაპზე შექმნილი კომისია, რომელიც მუშაობს ახალი დოკუმენტის შექმნაზე.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 16:26 სთ.
დასრულების დრო: 17:17 სთ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: .სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთ ადასკვნაში ასახული საერთო შეფასება: კერძოდ, საბჭომ ცალკეულ კომპონენტებში დაამატა ან/და ამოიღო რეკომენდაციები და რჩევები, ასევე, რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება. კერძოდ, სტანდარტის 2,2 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რის შედეგადაც მე-2 სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ასევე სტანდარტის 4,2 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა მე-4 სტანდარტის შეფასება არ შეცვლილა, ასევე, სტანდარტის 5,1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა მე-5 სტანდარტის შეფასება არ შეცვლილა.
საბჭომ რეკომენდაციები ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:
1.რეკომენდებულია, მკაფიოდ გამოიკვეთოს სწავლის შედეგებზე გამსვლელი მესამე დონის (განმტკიცების) შინაარსის სასწავლო კურსები.
2. რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში დაემატოს ბუღალტრული აღრიცხვის სასწავლო კურსი, სადაც სრულად იქნება წარმოდგენილი ბუღალტრული აღრიცხვის ფუნდამენტური საკითხები ან მოხდეს აღნიშნული საკითხების გათვალისწინება ფინანსური აღრიცხვის კურსში;

3. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სრულად შეესაბამებოდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხოვნებს.
4. რეკომენდებულია მენეჯმენტის საფუძვლების სასწავლო კურსის შინაარსის და სწავლის შედეგების კორექტირება;
5.რეკომენდებულია ,,გაყიდვები და ფინანსების მოზიდვა სპორტში" სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსში გამოყენებულ სავალდებულო ლიტერატურას დაემატოს შესაბამისი პროფილური სახელმძღვანელო სპორტში ფინანსების მოზიდვის და სპონსორობის შესახებ;
6.რეკომენდებულია პროექტების მართვის სილაბუსში გათვალისწინებული იქნეს პროექტების მართვის ტექნოლოგიური უზრუნველყოფის სპეციფიკა და სტუდენტებმა შეისწავლონ პროექტების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიური უზრუნველყოფის გამოყენების საფუძვლები, მაგალითად შეისწავლონ ,,Ms Project" გამოყენება.
პროგრამის სწავლების ენის გათვალისწინებით, რეკომენდებულია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად რელევანტური ლიტერატურის გამოყენება/უზრუნველყოფა.
7. რეკომენდებულია პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსებში ((ბიზნეს კომუნიკაციები (Business Communication - V. Bisen, New Age Int. Publishers, 2009); სპორტის ეკონომიკა (Sports Economics (Theory, Evidence and Policy), Paul Downward, Alistair Dawson, Trudo Dejonghe, Butterworth–Heinemann publications 2009); სპორტის მარკეტინგი (Sport Marketing, 3rd edition, Bernard Mullin, Stephen Hardy, William Sutton, Pub. Human Kinetics, 2007); სტრატეგიული მენეჯმენტი (სტრატეგიული მენეჯმენტი, ეკა ჩოხელი, გამომცემლობა უნივერსი, თბილისი 2009 წელი)) მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება, რათა სრულად იქნეს მოცული სწავლის სფეროს აქტუალური მიღწევები.
8. რეკომენდებულია გადაიხედოს მენეჯმენტის მიმართულების სასწავლო კურსების შინაარსი საკვანძო თემების დუბლირების აღმოფხვრის მიზნით, ასევე დაზუსტდეს ცალკეულ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, შინაარსი და შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს კურსის სახელწოდებასთან.
9. რეკომენდებულია, შეფასების სისტემის მეტი გამჭვირვალეობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში პრეზენტაციის ნაწილში გამოყენებული შეფასების ქულების რანჟირება და შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება;
10 რეკომენდებულია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდების მეტი დივერსიფიკაცია, მეტად მორგება კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკასთან, მაგალითად, პროექტების მართვის სასწავლო კურსში გათვალისწინებული უნდა იქნეს პროექტების წერა და დასკვნითი შეფასება განხორციელდეს შეფასების სისტემაში კურსის ფარგლებში შესრულებული პროექტის მონაწილეობით.
11.გათვალისწინებით უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გაძლიერება.
12. რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ინგლისურენოვან სავალდებულო ლიტერატურაზე ისეთი ქართულენოვანი სასწავლო მასალების მომზადება, რაც სრულფასოვნად ჩაანაცვლებს კურსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურას და აღნიშნული მასალები განთავსებული იქნება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სტუდენტებისათვის მისი ხელმისაწვდომობა.
13. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:

1. სასურველია შრომის ბაზრის კვლევისას გამოკითხულ იქნას უფრო მეტი რესპონდენტი.

2. სასურველია გაერთიანდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები კალკულუსი 1, 2 და ჩამოყალიბდეს 5 კრედიტიანი სასწავლო კურსის სახით, რაც გამოათავისუფლებს კრედიტების მოცულობას სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში და ხელს შეუწყობს პროგრამის სტრუქტურაში პროფილური სასწავლო კურსების ოპტიმალურ განაწილებას;
3. სასურველია სასწავლო კურსის ,,სპორტის მენეჯმენტის ბიზნესის“ სახელწოდება, კურსის შინაარსის გათვალისწინებით განისაზღვროს, როგორც ,,სპორტის ბიზნესის მენეჯმენტი“;
4. სასურველია სასწავლო კურსის სახელწოდება ,,სამართალი და ბიზნეს მარეგულირებელი გარემო“ კურსის შინაარსის, მიზნის და სწავლის შედეგების გათვალისწინებით რეკომენდებულია ჩამოყალიბდეს როგორც ,,ბიზნეს სამართალი“, რაც მეტად შეესაბამება მის შინაარს ვიდრე არსებული სახელწოდება;
5. სასურველია დაზუსტდეს პრაქტიკის შეფასების დეტალები, კერძოდ დასაზუსტებელია პრაქტიკის დაცვის კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის რაოდენობრივი პარამეტრები, რამდენი ადამიანი იქნება დაცვის კომისიაში, მათ შორის რამდენი უნივერსიტეტიდან და რამდენი ორგანიზაციიდან და ასევე, სასურველია პრაქტიკის შეფასების ერთ-ერთი კომპონენტში - აქტიურობა პრაქტიკაზე, რომელიც სრულდება უშუალოდ პრაქტიკის ობიექტზე და ფასდება 40 ქულით, დაზუსტდეს იღებს თუ რა მონაწილეობას პრაქტიკის მენტორი საწარმოდან და თუ იღებს როგორია მისი მონაწილეობის მექანიზმი.
6. სასურველია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააუმჯობესოს საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების მაჩვენებელი;
7. სასურველია პროგრამისათვის შემუშავდეს ბიუჯეტის ცალკე ფორმა, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას მისცემს სრულფასოვნად შეაფასონ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის მდგომარეობა;

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

3.მესამე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება N85
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სოციალური მეცნიერებები: პოლიტიკის მეცნიერება, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ევროპისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სოციოლოგია და კულტურის კვლევები 0314
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32 თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ელენე ჟურავლოვამ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოსთავმჯდომარემსთხოვაექსპერტთაჯგუფსწარმოედგინათმათიპოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ის მიერ აკრედიტაციისთვის მომზადებულ მასალებს. ვიზიტამდე გაიმართა ჯგუფის შეხვედრა, სადაც თითოეულმა წევრმა გააზიარა საკუთარი წინასწარი შეფასებები, მიგნებები და საკითხები, რომელთა დაზუსტებაც სასურველი იქნებოდა უშუალოდ აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში. სააკრედიტაციო ვიზიტის დღეს საბჭოს წევრებმა შეხვედრები გამართეს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან. კერძოდ, ინტერვიუები ჩატარდა როგორც ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, ასევე ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისა და ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან. სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართა საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ინტერვიუები ასევე ჩატარდა სტუდენტებთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ, კურსდამთავრებულებსა და პოტენციურ დამსაქმებლებთან. სააკრედიტაციო ვიზიტისას ექსპერტთა მიერ დაზუსტდა რიგი საკითხები, რომლებიც თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ მეტ სიცხადეს მოითხოვდა.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთაჯგუფისთავმჯდომარემსაბჭოსგააცნოდასკვნაშიდაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სამიზნე ნიშნულების ზღვრის აწევა, პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების სათანადოდ გაზომვისა და გაუმჯობესების მიზნით.

2. რეკომენდებულია, პროგრამაში სფეროს თანამედროვე მიღწევების ინტეგრირების მიზნით, პოსტმოდერნული თეორიების კურსის დამატება, აგრეთვე სოციოლოგიის დარგობრივი კურსების ბოლო პერიოდის რელევანტური კვლევებით განახლება.

3. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის გასაზომად და მის საფუძველზე პროგრამის შემდგომი დახვეწის მიზნით, ნათლად განისაზღვროს, რომელი სავალდებულო კურსი პროგრამის რომელ სწავლის შედეგებზე გადის;

4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსების მიმართ ერთიანი მიდგომის შემუშავება, განსაკუთრებით, სილაბუსებში თითოეული სალექციო თემის სავალდებულო ლიტერატურის შესაბამისი გვერდების ასახვა.

5. რეკომენდებულია, პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, პროგრამაში ჩართულ პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში ასახულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა მოხდა განსხვავებული მიდგომის გამოყენებით, ვიდრე ეს არის

აღწერილი დასკვნის პროექტში. კერძოდ, პროგრამის სამიზნე ნიშნულები ითვალისწინებს არა კურსის მთლიანი შეფასების პროცენტულ მაჩვენებელს, არამედ მათი განსაზღვრისას იყენებს კურსის/კურსების შეფასების ერთ-ერთ კომპონენტს, შესაბამისად, კონკრეტული სამიზნე ნიშნული არ არის დაკავშირებული კურსის მთლიანი შეფასების მინიმალურ ზღვართან (51-60 ქულა), როგორც ეს მითითებულია დასკვნის პროექტში.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კურსები მოიცავს როგორც თანამედროვე, ისე პოსტმოდერნულ თეორიებს, პროგრამის სამუშაო ჯგუფი იზიარებს რეკომენდაციას პოსტმოდერნული თეორიების ცალკე კურსად გამოყოფის შესახებ. სამუშაო ჯგუფმა უკვე დაიწყო მუშაობა უნივერსიტეტის ერთ-ერთ პროფესორთან კურსის მოსამზადებლად. ამასთანავე, სამუშაო ჯგუფი იზიარებს რეკომენდაციას სოციოლოგიის დარგობრივი კურსების ბოლო პერიოდის რელევანტური კვლევებით განახლებასთან დაკავშირებით და რადგან ამ მიმართულებით ქართულენოვანი მასალა მწირია, უკვე დაწყებულია მუშაობა უცხოენოვანი მასალების თარგმნაზე.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამუშაო ჯგუფი არ იზიარებს მოსაზრებას, რომ პროგრამაში ნათლად არ არის განსაზღვრული, თუ რომელი სავალდებულო კურსი პროგრამის რომელ სწავლის შედეგზე გადის. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ეს რეკომენდაცია, არსებითად ეყრდნობა ორი დოკუმენტის ინტერპრეტაციას. ესენია კომპეტენციათა რუკა და სამიზნე ნიშნულები. კომპეტენციათა რუკის შემთხვევაში, ექსპერტებს პრობლემურად მიაჩნიათ, რომ კონკრეტული კომპეტენციის გასწვრივ მონიშნული კურსი ინდივიდუალურად, ცალკე აღებული, სტუდენტებში სრულად ვერ ავითარებს ამ კომპეტენციას. პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულია რუკა იმ პრინციპით, რომ თითოეული სწავლის შედეგის გასწვრივ მონიშნულ ცალკეულ კურსს კონტრიბუცია შეაქვს შესაბამისი სწავლის შედეგისთვის რელევანტური კომპეტენციის განვითარებაში გარკვეული დოზით, მაშინ როდესაც სამიზნე ნიშნულების რუკაში თითოეული სწავლის შედეგის შესაფასებლად აღებულია მხოლოდ ის კურსები, სადაც ყველაზე მეტად, აკუმულირებული სახით არის წარმოდგენილი რელევანტური კომპეტენციები. აქვე მოგახსენებთ, რომ პროგრამის სამიზნე ნიშნულების შემუშავების ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესის ეფექტურობას და ეყრდნობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, სილაბუსებში ლიტერატურის გვერდების მითითება განიხილება სწავლებაში ჩართული პერსონალის აკადემიური თავისუფლების ნაწილად და არ წარმოადგენს აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელ პირობას.

მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულების პოზიცია მე-5 საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ მომზადებულ დასკვნის პროექტში ნათლად არის აღნიშნული, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სთავაზობს განვითარებისთვის აუცილებელ ღონისძიებებს, რაც დასტურდება ამავე უნივერსიტეტში არსებული “აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრით (TSDC)”. დასკვნის პროექტში ყურადღება გამახვილებულია 2015 და 2016 წლების მონაცემებზე, როდესაც ცენტრი არ არსებობდა და რომელი წლების გამოცდილებამაც მის შექმნას ჩაუყარა საფუძველი. აღნიშნული ცენტრის დაარსება ექსპერტთა მიერ ჩაითვალა საუკეთესო პრაქტიკად. 2019 წელს აღნიშნული ცენტრის შექმნის მიზეზი და მიზანი სწორედ რომ მანამდე არსებული გამოცდილების გაუმჯობესება და პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა იყო. ამასთანავე, როგორც პროგრამის თვითშეფასებაშიც არის აღნიშნული, პროგრამის პერსონალის გადამზადებას უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული ერთ-ერთი ასისტენტ პროფესორი, რომელიც თავად მონაწილეობდა საერთაშორისო ტრენინგებში და მოპოვებული აქვს ტრენერთა ტრენერის სტატუსი. ამავე ქვესტანდარტში, დასკვნის პროექტის ავტორები ხაზს უსვამენ პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის სხვა ხელშემწყობ ფაქტორებსაც. მაგალითად, პასკალის პრემიას, რომელიც კვლევითი პოტენციალის გასაზრდელად ახალგაზრდა მკვლევრებისათვის დაწესებული ჯილდოა. ამასთანავე, საგანმანათლებლო

პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში მითითებულია მრავალი მტკიცებულება, იმის შესახებ თუ როგორ უწყობს ხელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებას. ასევე, თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია უნივერსიტეტის ინსტიტუტები და კვლევითი ცენტრები, რომელთა ბაზაზეც აკადემიური პერსონალი ახორციელებს კვლევით საქმიანობას. ესენია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტი, უმაღლესი კვლევების ცენტრი.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართასაბჭოსწევრებსწარმოედგინათმოსაზრებები..

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა ექსპერტთა რეკომენდაცია ჰქონდათ სილაბუსების ფორმასთან და გვერდებთან დაკავშირებით, თუმცა რჩევებში განსაზღვრული იყო საკითხი, რომელიც შეეხებოდა მოცულობას კრედიტებთან შესაბამისობის ნაწილში და გადაფარვის საკითხებს. შესაბამისად, მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის განმარტებისკენ. ასევე საბჭოს წევრმა ექსპერტებთან დააზუსტა თუ რამდენად მასშტაბური იყო ლიტერატურის განახლების საკითხი. გარდა ამისა საბჭოს წევრმა მოუწოდა ექპსერტებს ესაუბრათ დოქტორთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებულ რჩევასთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა თეონა მატარაძემ ასევე აღნიშნა, რომ თვითშეფასების დოკუმენტში არის ჩანაწერი, რომ მიღების რაოდენობა არის 1215, 1270 და ბოლოს არის ჩამოყვანილი 700-მდე. აქტიური სტუდენტების რაოდენობა კი არის 331.შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ. ასევე საინტერესოა არჩევითი კურსების კონცეფცია. არჩევით სავალდებულო კურსებში არის დაფარული ზოგადად სოციალური და პოლიტიკური საკითხები. შესაბამისად მნიშვნელოვანია განიმარტოს თუ რატომ არის განსაზღვრული არასავალდებულო სოციოლოგიის საკითხები სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსებში. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა თუ რამდენი პროცენტი სტუდენტებისა ირჩევს საბაკალავრო ნაშრომს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 9 რესპონდენტი, შესაბამისად დააზუსტა რამდენად რელევანტურია აღნიშნული დოკუმენტი. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა ,,ეკონომიკური ძალაუფლების კრიტიკული თეორიების“ სასწავლო კურსი, რომელიც საკმაოდ კარგი და საინტერესოა თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკის საბაზისო კურსიც იყოს შეთავაზებული სტუდენტებისთვის, რადგან ეკონომიკური ძალაუფლების საკითხები, ეკონომიკის ფუნდამენტური საკითხები განხილვის გარეშე გადაიხრება აუცილებლად შემდგომ პოლიტოლოგიისკენ.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა თუ რამდენად აქვს რჩევის ხასიათი ლიტერატურასთან დაკავშირებულ რჩევას და მოუწოდა ექსპერტებს მისი დაზუსტებისკენ.

აღსანიშნავია ასევე მენეჯმენტის სოციოლოგიის სასწავლო კურსი, ერთი მხრივ მენეჯმენტის საკითხები შეტანილია, თუმცა არ არის წინაპირობად განსაზღვრული და არც სილაბუსშია მოცემული ორგანიზაციის თეორიასთან დაკავშირებული საკითხები. შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა, მოცემული საკითხები სხვა სასწავლო კურსებშია მოცემული თუ დაწესებულებამ არ ჩათვალა საჭიროდ მათი განსაზღვრა.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართაექსპერტთა ჯგუფსდაეფიქსირებინათსაკუთარიპოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ განსხვავებით სილაბუსების ერთიანი ფორმის არ არსებობისა და დაკავშირებული ხარვეზებისა, გადაფარვებთან დაკავშირებით დიდი მასშტაბი არ ყოფილა, საკითხი ეხებოდა მხოლოდ რამდენიმე სილაბუსს. შესაბამისად, ექსპერტებმა ჩათვალეს რომ მოცემული საკითხის რჩევად განსაზღვრა იქნებოდა საკმარისი. რაც შეეხება თემების გამეორებას, საკითხი ეხება აკადემიურ თავისუფლებასაც. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული თემა შესაძლოა ბევრგან მეორდებოდეს, აქცენტები, რომლებსაც კონკრეტული კურსის ავტორები სვამდნენ შეიძლება იყოს განსხვავებული, ამიტომაც თემების განმეორების

თვალსაზრისით პრობლემა არ არის. მნიშვნელოვანია ასევე ლიტერატურის დაფარვის საკითხი, კერძოდ ხარვეზი არ არის მასშტაბური ხასიათის, გარდა ამისა, სადაც მსგავსი პრობლემაა მდგომარეობა გამოსწორებას ექვემდებარება.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა დოქტორთა რაოდენობის გაზრდის საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დარგში დოქტორების რაოდენობა ისედაც შეზღუდულია, ამიტომაც საკითხი განისაზღვრა რჩევის სახით, რათა მომხდარიყო პროცესის წახალისება. რა თქმა უნდა, უმჯობესია რაოდენობის გაზრდა თუმცა აღნიშნულს ვერ იქნება ვალდებულება არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.
ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის („სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები“, „განვითარების თეორიები“, „გენდერის სოციოლოგია“, „ქალთა ქონებრივი უფლებების გენდერული ასპექტები“ და სხვ.) სილაბუსების შინაარსის ნათლად ასახვის საჭიროება; კერძოდ, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსების დასაწყისში მითითებული იყოს განსახილველი თემის სათაური, ხოლო დასათაურების ქვეშ - ამ განსახილველი საკითხის მოკლე სტრუქტურა (აღწერა). ეს მეტ სიცხადეს შეიტანდა სილაბუსში ასახსნელ საკითხებთან დაკავშირებით და სტუდენტს უკეთ დააკვალიანებდა კურსის შინაარსის თაობაზე. აუცილებელია ასევე, რომ სილაბუსებში მითითებული იყოს სავალდებულო ლიტერატურის გვერდები, რომლის მითითებაც, გარდა იმისა, რომ ხელს უწყობს სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის წინასწარ განსაზღვრას, ასევე, ნათელს ჰფენს იმას, თუ რა განსხვავებაა ერთი კურსის ფარგლებში სხვადასხვა კვირას განხილული იდენტური თემატიკის ლექციებს შორის. თუმცა, მოცემულ პროგრამაში სავალდებულო ლიტერატურის გვერდები თითოეული კვირისთვის სილაბუსების ნაწილში წარმოდგენილია, ნაწილში - არა. თითოეული სალექციო თემის სავალდებულო ლიტერატურის განსაზღვრა კონკრეტული გვერდების მითითებით, უპირველეს ყოვლისა, ხელს შეუწყობდა სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს; ამავე დროს, გაამარტივებდა დასახელებული სავალდებულო ლიტერატურის მოცულობის რელევანტურობის დადგენას.
ექსპერტმა ასევე გამარტა, რომ უნივერსიტეტი სთავაზობს პერსონალს პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელ ღონისძიებებს (თემატურ ტრენინგებს, ლექციებსა და კონფერენციებს), რომლებიც მნიშვნელოვანია დარგში არსებული სიახლეებისა და მიღწევების, ასევე, მიდგომების გაზიარების გათვალისწინებით. თანამშრომელთა საჭიროებების ფარგლებში ტრენინგებისა თუ პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც სთავაზობს სწავლების პროცესში ჩართულ პერსონალს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ტრენინგ-მოდულებს. ასევე, უნივერსიტეტში კვლევითი პოტენციალის გაზრდას ემსახურება ახალგაზრდა მკვლევრებისთვის დაწესებული ჯილდო - პასკალის პრემია, დარგში შესრულებული გამორჩეული სამეცნიერო პუბლიკაციისთვის. თუმცა, პროფესორ-მასწავლებელთა პირადი საქმეებიდან (CV) დგინდება 2015, 2016 წლებში ან სხვა შემთხვევაში, პროფესიული ტრენინგებისა თუ ღონისძიებების ნაკლებობა ან არარსებობა. იკვეთება ამ მიმართულებით მეტი აქცენტის დასმისა და ცენტრის მუშაობის მეტად გააქტიურების აუცილებლობა.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა მიღების მაჩვენებელთან მიმართებით და აღნიშნა, რომ მოცემული უკავშირდებოდა მიღების სპეციფიკას, რადგან წინა წლებში ხდებოდა პროგრამებზე ერთიანი მიღება, შესაბამისად ის რიცხვები რაც თვითშეფასებაშია განსაზღვრული, არის ერთიანი მიღების მაჩვენებლები, ხოლო შემდგომ ცხრილში ნაჩვენებია

კოჰორტის პროგრესი, მეორე სემესტრიდან, ვინაიდან სტუდენტი major ირჩევს მეორე სემესტრიდან სადაც ჩანს სოციოლოგიის არჩევის მაჩვენებელი. მაჩვენებლის რაოდენობის კლება გამოწვეულია ეროვნული გამოცდების ფორმატის ცვლილებით.
რაც შეეხება სამიზნე ნიშნულების საკითხს, დაწესებულება მაჩვენებლის ითვლის კონკრეტული ქულიდან გამომდინარე. კონკრეტულ კომპონენტში რა შეფასებაც აქვს სტუდენტს, იმ ქულიდან სტუდენტმა უნდა აიღოს ის მაჩვენებელი, რაც განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულში.
მნიშვნელოვანია ასევე არჩევითი საგნების საკითხიც, კერძოდ არჩევითი საგნების განსაზღვრას განიხილავს შესაბამისი ჯგუფი, სპეციფიკიდან გამომდინარე. ასევე, როცა პროგრამაში ახალი კურსი ემატება, ის განიხილება როგორც არჩევითი კურსი და შემდგომ ხდება დაკვირვება, რის შედეგადაც სამუშაო ჯგუფი შემდგომ მოცემულ კურსს ამუშავებს. თუ კურსზე მოთხოვნა მაღალია, ცხადია მას შეიძლება შეეცვალოს სტატუსი.
რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომს, აღნიშნული არ არის განსაზღვრული ყველა სტუდენტისთვის, თუმცა ყველას აქვს მისი შესრულების შესაძლებლობა. 2018-2019 წლებში დაახლოებით 27% ჰქონდა არჩეული საბაკალავრო ნაშრომი. თუმცა აღნიშნული ნაშრომის მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც სამომავლოდ აპირებს სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას, აღნიშნული არა წარმოადგენს ვალდებულებას ყველა სტუდენტისთვის.
შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებამ დამსაქმებლების კვლევა ჩაატარა შერეული მეთოდით, იყო თვისებრივი კომპონენტიც და იყო რაოდენობრივი კომპონენტიც. თვისობრივი კვლევის დროს, ფოკუს ჯგუფის არსებობის შემთხვევაში 9 რესპონდენტის არსებობა სრულიად რელევანტურია, რადგან დასაშვებია ასევე ჯგუფური ინტერვიუები. გარდა ამისა როგორც აღინიშნა, თვისობრივ კვლევას ასევე თან ახლდა რაოდენობრივი კვლევა.
საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა, ექსპერტთა ჯგუფთან დააზუსტა, ხომ არ ყოფილა სწავლის შედეგების გაზომვადობასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემები. გარდა ამისა, დააზუსტა თუ თავად პროგრამის და თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები რამდენად არის გაზომვადი და სწორად ფორმულირებული. აღსანიშნავია ასევე, რომ ცალკეულ სილაბუსებში ბევრი რუსულენოვანი ლიტერატურაა წარმოდგენილი, მართალია არჩევითი, თუმცა საკმაოდ მოძველებული. შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ .
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ლიტერატურა არის არჩევითი და არა სავალდებულო, ხოლო ის ლიტერატურა რომლის საშუალებითაც სტუდენტი მთელი სემესტრის განმავლობაში ცოდნას იღებს არის ახალი და რელევანტური.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ,,ეკონომიკური ძალაუფლების კრიტიკული თეორიების“ სასწავლო კურსი, რომელიც საკმაოდ კარგი და საინტერესოა თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკის საბაზისო კურსიც იყოს შეთავაზებული სტუდენტებისთვის, რადგან ეკონომიკური ძალაუფლების საკითხები, ეკონომიკის ფუნდამენტური საკითხები განხილვის გარეშე გადაიხრება აუცილებლად შემდგომ პოლიტოლოგიისკენ. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა განმარტა, რომ იგი იდევ ერთხელ გაეცნო შრომის ბაზრის კვლევას, თუმცა მასში არ არის გათვალისწინებული რაოდენობრივი კვლევა. ფოკუს ჯგუფის ფარგლებში გამოკითხული იქნა მხოლოდ 9 ადამიანი. თუმცა მნიშვბელოვანია, რამდენა შეიძლება მივიღოთ რელევანტური წარმოდგენა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე საქართველოში მხოლოდ 9 ადამიანის გამოკითხვის შედეგად.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეკონომიკასთან დაკავშირებული რჩევა დაწესებულებისთვის სავსებით მისაღებია და აუცილებლად იქნება მოცემული საკითხი განხილული. აღსანიშნავია ასევე, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სთავაზობს განვითარებისთვის აუცილებელ ღონისძიებებს, რაც დასტურდება ამავე უნივერსიტეტში არსებული აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრით (TSDC). დასკვნის პროექტში ყურადღება გამახვილებულია 2015 და 2016 წლების მონაცემებზე, როდესაც ცენტრი არ არსებობდა და რომელი წლების

გამოცდილებამაც მის შექმნას ჩაუყარა საფუძველი. აღნიშნული ცენტრის დაარსება ექსპერტთა მიერ ჩაითვალა საუკეთესო პრაქტიკად. 2019 წელს აღნიშნული ცენტრის შექმნის მიზეზი და მიზანი სწორედ რომ მანამდე არსებული გამოცდილების გაუმჯობესება და პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა იყო.
აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ასევე, რომ უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს და მხარს უჭერს უნივერსიტეტს, მის სტრუქტურულ ერთეულებს და აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში. სამსახურების საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით. სამეცნიერო კვლევითი ერთეულების შეფასების მექანიზმი ემსახურება უნივერსიტეტში კვლევების დაფინანსების ღია და გამჭვირვალე პრინციპებისა და პროცედურების შექმნას. ასევე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსურ მხარდაჭერას, რაც რეგულირდება აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციაში დაფინანსების წესით. რაც შეეხება პროექტების საკითხს, ,ღირებულებების კვლევის პროექტი“ ნამდვილად სოციოლოგიის კუთხით არის შინაარსობრივად, ვინაიდან მოიცავს სოციალურ-დემოგრაფიული ჭრილის მიხედვით საკითხების განხილვასა და კვლევას. პირველადი ანგარიშები უკვე არსებობს, ხოლო სამომავლოდ მას უკვე სამეცნიერო სტატიის სახე მიეცემა. რაც შეეხება წითელ ჯვართან განხორციელებულ კვლევას, აღნიშნული უკვე დასრულებულია და დაწესებულება არის ანალიზის პროცესში. მნიშვნელოვანია ასევე მესამე კვლევა, კერძოდ დაწესებულება ახორციელებს კოვიდთან დაკავშირებით მოსახლეობის აზრის კვლევას და კონტენტ ანალიზს.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება

დაწყებისდრო: 17:17 სთ.
დასრულებისდრო:: 18:59 სთ.
საბჭოსთავმჯდომარემკენჭისყრაზედააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლის წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება. საბჭომ ცალკეულ კომპონენტებში დაამატა ან/და ამოიღო რეკომენდაციები და რჩევები, ასევე, რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება, თუმცა, ამით შეფასება არ შეცვლილა.
დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1.რეკომენდებულია დაზუსტდეს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის პრინციპი პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვისა და გაუმჯობესების მიზნით.
2. რეკომენდებულია, პროგრამაში სფეროს თანამედროვე მიღწევების ინტეგრირების მიზნით, პოსტმოდერნული თეორიების კურსის დამატება, აგრეთვე სოციოლოგიის დარგობრივი კურსების ბოლო პერიოდის რელევანტური კვლევებით განახლება.
3. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის გასაზომად და მის საფუძველზე პროგრამის შემდგომი დახვეწის მიზნით, ნათლად განისაზღვროს, რომელი სავალდებულო კურსი პროგრამის რომელ სწავლის შედეგებზე გადის.
4. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში აღმოფხვრილ იქნას თემატური გადაფარვები და დაზუსტდეს სასწავლო მასალის მოცულობა კურსის/თემატიკის გათვალისწინებით.

5. რეკომენდებულია, პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, პროგრამაში ჩართულ პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

რჩევები:

1. პროგრამის მიზნების სრულყოფილად განხორციელებისთვის, სასურველია, კურიკულუმს დაემატოს პოსტმოდერნული თეორიების და პროფესიული ინგლისური ენის კურსი.
2. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველია მისი საერთო საფაკულტეტო სტრატეგიის შემუშავება.
3. სასურველია გაფართოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი.
4. სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების და დახვეწის პროცესში, სტუდენტების და კურსდამთავრებულების უშუალო ჩართვა სამუშაო ჯგუფებში.
5. სასურველია, უსდ-ის ვებგვერდსა და პროგრამის აღწერაში თვალსაჩინოდ აისახოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.
6. სასურველია, წინაპირობები მკაფიოდ და თანმიმდევრულად განისაზღვროს ზოგიერთი სასწავლო კურსისთვის;
7. სასურველია, პროგრამამ შესთავაზოს სტუდენტებს კვლევის მეთოდების პრაქტიკუმები სავალდებულო-არჩევითი კურსების სახით.
8. სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსების მიმართ ერთიანი მიდგომის შემუშავება, განსაკუთრებით, სილაბუსებში თითოეული სალექციო თემის სავალდებულო ლიტერატურის შესაბამისი გვერდების ასახვა.
9. სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის რეალურად წახალისების მიზნით, მისთვის ერთ სასწავლო კურსზე მეტი კრედიტის მინიჭება.
10. სასურველია არჩევით ბლოკში დაემატოს ეკონომიკის საფუძვლების სასწავლო კურსი/თემატიკები.
11. სასურველია, კურსის სრულყოფის მიზნით, გადაიხედოს სასწავლო კურსი „მენეჯმენტის სოციოლოგია“, სილაბუსში შემავალი თემები და ლიტერატურა.
12. სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართულ დოქტორთა რაოდენობის გაზრდა.
13. სასურველია პროფესორ-მასწავლებელთა CV-ის საერთო ფორმის შემუშავება, რათა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებათა შესახებ სრული წარმოდგენა შეიქმნას;
14. სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების ღონისძიებების გააქტიურება, რაც მათ პროფესიულ განვითარებაში პოზიტიურ წვლილს შეიტანდა.
15. სასურველია, პროგრამის დახვეწის მიზნით, გარე ექსპერტული შეფასებების სათანადოდ გათვალისწინება.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

4.მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N05, 09.01.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0160, მ.კოსტავას ქუჩა N77
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დავით კაპანაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

19:00- საბჭოს სხდომა დატოვა ელიზბარ ელიზბარაშვილმა

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტებისპოზიციისგანხილვა

საბჭოსთავმჯდომარემსთხოვაექსპერტთაჯგუფსწარმოედგინათმათიპოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა, რომელსაც თან ახლდა პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ანგარიში წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმით შემოწმდა დეტალურად.

ხელახალი აკრედიტაციის ფარგლებში, დაიხვეწა და გაუმჯობესდა ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მიზანი, რომელიც ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია. გაუმჯობესდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, თუმცა, დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და სწავლის შედეგებისათვის სამიზნე ნიშნულები. ასევე გაუმჯობესდა ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა ბიზნესის სფეროს საგნების დამატებით. მნიშვნელოვანია, რომ დაიხვეწა ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა არჩევითი საგნების დამატებით და თემატური სემინარების შემუშავებით. გარდა ამისა, დაწესებულებამ გააძლიერა მუშაობა დოქტორანტებთან მათი კონფერენციებში ჩართვის მიზნით. აღსანიშნავია ასევე, რომ დაწესებულებამ გააძლიერა მუშაობა საერთაშორისო მეცნიერების და აკადემიური პერსონალის მოწვევის მიზნით. ამ მხრივ შემჩნევა პროგრესი. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დაწესებულებამ მოიწვია რამდენიმე საერთაშორისო მეცნიერი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთაჯგუფისთავმჯდომარემსაბჭოსგააცნოდასკვნაშიდაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია ბოლომდე იქნეს გათვალისწინებული რეკომენდაცია ,,მოხდეს სწავლის შედეგების აღწერის სტანდარტიზაცია“;

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და ისაუბრა დასკვნაში ასახულ რეკომენდაციაზე, კერძოდ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში და მათ შორის დოქტორანტურის „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამაში უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების აღწერის

სტანდარტიზაცია. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე, უნივერსიტეტმა განახორციელა შესაბამისი ცვლილებები პროგრამაში. ამასთან, ვინაიდან კანონმდებლობის მიხედვით პროგრამას არ უწევს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ "ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორ-ზე" გადასვლა და არც ექსპერტთა რეკომენდაცია არ ითვალისწინებდა აღნიშნულს, პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების №120/ნ "ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს" შესაბამისად. ხოლო, პროგრამის ახალი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები) შემუშავდა ახალი მოთხოვნების მიხედვით. გარდა ზემოაღნიშნულისა, უნივერსიტეტმა შეიმუშავა ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით (69/ნ) გათვალისწინებული ფორმატის საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი, რომელიც დადგენილი წესით და პროცედურების გავლით დამტკიცდება უნივერსიტეტის მართვის ორგანოების მიერ.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება

დაწყების დრო: 19:15
დასრულების დრო: 19:30
საბჭოსთავმჯდომარემკენჭისყრაზედააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 2^{88} მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

ცენტრის წარმომადგენელმა, ქეთევან ინანაშვილმა დააყენა შუამდგომლობა, რომ საბჭოს დღის წესრიგს დამატებოდა შემდეგი საკითხები:
5. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებისა და შუამდგომლობის საფუძველზე, 2021 წლის გეგმიური მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული შეფასების გაუქმებისა და საკითხის გეგმიური მონიტორინგის გეგმიდან ამოღების შესახებ;
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "სამართალმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებისა და

შუამდგომლობის საფუძველზე, 2021 წლის გეგმიური მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული შეფასების გაუქმებისა და საკითხის გეგმიური მონიტორინგის გეგმიდან ამოღების შესახებ;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის საბჭოს 10 დეკემბრის გადაწყვეტილებისა და შუამდგომლობის საფუძველზე, 2021 წლის გეგმიური მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული შეფასების გაუქმებისა და საკითხის გეგმიური მონიტორინგის გეგმიდან ამოღების შესახებ.

ცენტრის წარმომადგენელმა, ქეთევან ინანაშვილმა განმარტა, რომ მიმდინარე აკრედიტაციის დებულება ითვალისწინებს რეგულაციას, რომ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის განხილვისას, პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა იქნება მეტწილად შესაბამისი, ამ შემთხვევაში, დებულების მიხედვით საბჭოს შეუძლია იმსჯელოს და გადაწყვეტილება მიიღოს, რომ პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულებისთვის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ინსტიტუციას მოსთხოვოს ანგარიშის წარმოდგენა. გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია ორი მიმართულებით, პირველი ეს არის ანგარიშის წარმოდგენის მოთხოვნა, მაგრამ ანგარიში უნდა იყოს დადგენილი არა უმეტეს ერთი წლის ვადით, ხოლო მეორე ამავდროულად საბჭოს თავისი გადაწყვეტილების ფარგლებში შეუძლია, რომ მიიღოს გადაწყვეტილება ამავე პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების შესახებ. შესაბამისად, მიმდინარე აკრედიტაციის დებულებით, ასეთი შეფასების პირობებში, ინსტიტუციების უწევთ ორი შეფასების განხორციელება საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, ერთი და იმავე რეკომენდაციების ფარგლებში. აღნიშნული დებულება იყო გადასახედი, ვინაიდან პროცეს ხდიდა მეტად არალოგიკურს დაწესებულებისთვისა და პროგრამებისთვის. თუკი საბჭო მიიღებს, როგორც ანგარიშს ასევე მონიტორინგს ეს ნიშნავს, რომ ინსტიტუციამ შესაბამის ვადაში უნდა წარმოადგინოს ცენტრში ანგარიში, ხოლო საბჭოს ცენტრს მიმართავს შუამდგომლობით და განსაზღვრავს მონიტორინგს და შესაბამისად, ცენტრმა თანმიმდევრულად უნდა დაგეგმოს ჯერ ანგარიშის, ხოლო შემდგომ მონიტორინგის წარმოება. აღნიშნული მოცემულობის უარყოფითი მხარე არის ის, რომ შესაძლოა ეს ორი პროცესი მიმდინარეობდეს სინქრონში, შეიძლება საბჭომ ისე განსაზღვროს ვადები, რომ ორივე პროცესი წარიმართოს ერთმანეთის პარალელურად, ამასთან, რაც მთავარია გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც განხორციელდა რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის შესწავლა და აღნიშნული შესწავლის შედეგად ექსპერტთა დასკვნა საბჭომ მიიღო ცნობად და მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა, მაინც გრძელდება მონიტორინგის წარმოება, რომლის ფარგლებშიც ზუსტად იგივე რეკომენდაციების გადამოწმება ხდება, რომელზეც საბჭომ ანგარიშის შესწავლისას აღნიშნა, რომ რეკომენდაციები შესრულებულია. შესაბამისად, ცენტრი მიიჩნევს, რომ მიმდინარე ეტაპზე დებულება საჭიროებს გადახედვას, აქედან გამომდინარე ცენტრის მხრიდან მიმდინარეობს ცვლილებების სამინისტროში ინიცირება მოცემულ რეგულაციასთან მიმართებით. ცენტრის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში უნდა იყოს ან ანგარიშის ან მონიტორინგის განსაზღვრა.
ცენტრის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მონიტორინგის გეგმაში არსებობს ისეთი პროგრამები, რომლებსაც საბჭოს გადაწყვეტილებით განესაზღვრა ანგარიშის წარმოდგენა, ამავდროულად ცენტრმა, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე აღნიშნული პროგრამები შეიტანა მონიტორინგის გეგმაში. ყოველწლიურად ცენტრის უმაღლესი განათლების სამსახური ადგენს გეგმიური მონიტორინგის გეგმას.

მიმდინარე ეტაპზე, მონიტორინგის 2021 წლის გეგმა ითვალისწინებს 2020 წელს აკრედიტებულ ზოგიერთ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად უწევს როგორც ანგარიშის წარმოდგენა, ასევე გეგმიური მონიტორინგის გავლა.

როგორც მოგეხსენებათ, აღნიშნული გამომდინარეობს აკრედიტაციის საბჭოს დებულების მიხედვით განსაზღვრული აკრედიტაციის საბჭოს დისკრეციიდან, რომ მეტწილად შესაბამისობაში პროგრამის შეფასების შემთხვევაში, პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებასთან ერთად განსაზღვროს ანგარიშის წარმოდგენა და ასევე მიიღოს გადაწყვეტილება პროგრამის აკრედიტაციის პირობების მონიტორინგით გადამოწმების შესახებ და ამისათვის მიმართოს ცენტრს შუამდგომლობით. ორივე ადმინისტრაციული წარმოების განხორციელებისათვის დაწესებულებებს ერთი და იგივე პროგრამისათვის უწევთ აკრედიტაციის დებულებით განსაზღვრული საფასურის გადახდა და ასევე ორი შეფასების გავლა, ერთსა და იმავე რეკომენდაციების გამოსწორების შეფასებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წლის გეგმა ითვალისწინებდა 2020 წელს აკრედიტებულ ზოგიერთ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად უწევდა როგორც ანგარიშის წარმოდგენა, ასევე გეგმიური მონიტორინგის გავლა.
ასეთი საკითხებია:

- შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტმა "მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა,
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის "სამართალმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სამომავლოდ სამსჯელოა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თანმდევი პროცედურების მეტი ეფექტურობისათვის, უმაღლესი განათლების სამსახურმა ცენტრის ხელმძღვანელობასთან შესაძლებელია იმსჯელოს აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხ ლის ცვლილებასთან დაკავშირებით, იმისათვის, რომ საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელი იყოს პროგრამის აკრედიტაციის მხოლოდ ანგარიშის წარმოდგენა ან მონიტორინგის განხორციელება, რაც განაპირობებს, აკრედიტაციის თანმდევი პროცესების მეტ ეფექტურობას, როგორც ცენტრისთვის, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

ამ უკანასკნელ რეგულაციასთან დაკავშირებით საბჭოს აცნობა, რომ მიმდინარე ეტაპზე უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ცენტრის ხელმძღვანელობასთან ერთად კლასტერული აკრედიტაციის პროცედურების გადასვლასთან დაკავშირებით მიმდინარეობს აკრედიტაციის დებულების შესაბამისად გათვალისწინებული პროცედურების გადახედვა, აღნიშნულის შესაბამისად სამსახური მსჯელობს, რომ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტებისა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების/რჩევების შესრულების ანგარიშის წარმოდგენისა და პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების შეფასების პროცესები, რაც განაპირობებს, აკრედიტაციის თანმდევი პროცესების მეტ ეფექტურობას, როგორც ცენტრისთვის, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

რაც შეეხება 2021 წლის გეგმიური მონიტორინგის გეგმის საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მინიჭებული აქვთ 1 წლიანი ანგარიშის წარმოდგენა და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელება.

1. მიმდინარე ეტაპზე, ცენტრში გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვეში ანგარიში წარმოადგინა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტმა "მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის, რომლის მონიტორინგით შეფასება დაგეგმილია 2021 წლის IV კვარტალში. ამ პროგრამის ანგარიშის შეფასებასთან დაკავშირებით ჩატარდა

ადმინისტრაციული წარმოება, 2021 წლის 13 ივლისს ჩატარებულ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული, - შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული.

2. ცენტრში ასევე წარმოდგენილი იყო შპს საქართველოს უნივერსიტეტის "სამართალმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში. ამ პროგრამისათვის მონიტორინგით შეფასება დაგეგმილია 2021 წლის IV კვარტალში. აღნიშნული პროგრამის ანგარიშის შეფასებასთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება, 2021 წლის 10 სექტემბერს ჩატარებულ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული.

3. ასევე, ცენტრში წარმოდგენილი იყო სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში. ამ პროგრამის ანგარიშის შეფასებასთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება, 2021 წლის 17 სექტემბერს ჩატარებულ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრი საბჭოს მიმართავს შუამდგომლობით, რომ განიხილოთ და იმსჯელოთ, რომ ამ პროგრამებზე მონიტორინგის განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხის ირგვლივ, იმისათვის, რომ ამ პროგრამებზე მონიტორინგი, აღარ განხორციელდეს.
რადგან, პროგრამის ირგვლივ რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების საკითხი საბჭოს მიერ უკვე განხილულ იქნა ზეპირ მოსმენაზე, და მათი შესრულება დადასტურდა იმ გარემოებით, რომ საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, შეწყდა პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების მიზნით წარმოდგენილი ანგარიშის შეფასების წარმოება.

შემდგომში შესაძლებელი იქნება გეგმიური მონიტორინგის გეგმაში განსაზღვრული მონიტორინგი, აღარ განხორციელდეს. ანუ, აკრედიტაციის საბჭოს მიერ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილება შევა ცენტრის დირექტორის №75826 ბრძანებაში.

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტმა "მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისასთვის აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებისა და შუალმდგომლობის საფუძველზე, 2021 წლის გეგმიური მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული შეფასების გაუქმებისა და საკითხის გეგმიური მონიტორინგის გეგმიდან ამოღების შესახებ.
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "სამართალმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისასთვის აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებისა და შუალმდგომლობის საფუძველზე, 2021 წლის გეგმიური მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული შეფასების გაუქმებისა და საკითხის გეგმიური მონიტორინგის გეგმიდან ამოღების შესახებ.
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებისა და შუალმდგომლობის საფუძველზე, 2021 წლის გეგმიური მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული შეფასების გაუქმებისა და საკითხის გეგმიური მონიტორინგის გეგმიდან ამოღების შესახებ.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა ქეთევან ინანაშვილმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ინიცირებულ სამ პროგრამასთან დაკავშირებით, ინსტიტუციამ თავის დროზე წარმოადგინა რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების შესახებ ანგარიში, შესაბამისად ცენტრმა ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება

სამივე საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით. საბჭოს გადაწყვეტილებით, აღნიშნულ პროგრამებთან მიმართებით შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება. ვინაიდან საბჭომ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭომ რეკომენდაციები და რჩევები შესრულებულად მიიჩნია, შესაბამისად, საბჭომ აღარ ჩათვალა საჭიროდ წარმოების გაგრძელება. აღნიშნულ სამ პროგრამასთან დაკავშირებით ცენტრმა უკვე უნდა დაიწყოს მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოება, მაგრამ ცენტრს სურს საბჭოზე გამოიტანოს საკითხი, რომ თუკი ანგარიშებთან დაკავშირებით საბჭომ მიიჩნია, რომ რეკომენდაციის ფარგლები არის უკვე შესრულებული ინსტიტუციის მიერ და პროგრამა მიმდინარე ეტაპზე აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, ამ შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა, რომ პროგრამებზე მონიტორინგი აღარ განხორციელდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა თუ რამდენად სწორია, რომ აკრედიტაციის მოქმედი საბჭო აუქმებს წინა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებები თავად ელოდებიან საბჭომ მიერ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას, ვინაიდან მათ უწევთ ორი პროცესის გარდა და ამავდროულად მონიტორინგისას საფასურის გადახდა. იმ შემთხვევაში, როდესაც ინსტიტუცია ცენტრში ანგარიშს წარმოადგენს, აკრედიტაციის დებულების თანახმად მას ევალება საფასურის გადახდა. ინსტიტუციების მოსაზრება საკითხთან დაკავშირებით იყო, რომ მექანიზმი ყოფილიყო მეტად დახვეწილი და რომ საბჭოს განეხილა მოცემული საკითხი. რაც შეეხება საბჭოს შემადგენლობას, ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ არსებობს, ვინაიდან კოლეგიალური ორგანო, მიუხედავად მისი შემადგენლობისა, იღებს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ პროგრამაზე გადაწყვეტილების მიღებასა და გაუქმების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე დააზუსტა საკითხი კანონმდებლობასა და აკრედიტაციის დებულებაში ინიცირებული ცვლილებების შესახებ და მოუწოდა ცენტრის წარმომადგენელს განმარტებისკენ.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინიცირება ეხება საბჭოს გადაწყვეტილების გამიჯვნას, როდესაც აკრედიტაციის საბჭოზე პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა შეფასებული იქნება, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. საბჭოს ექნება უფლებამოსილება, რომ ან ინსტიტუციას დაავალოს ანგარიშის წარმოდგენა არა უმეტეს ერთი წლის ვადაში, ან ცენტრს მიმართოს შუამდგომლობით და მონიტორინგის განხორციელების აუცილებლობა მიუთითოს შესაბამის ვადაში. აღნიშნული პროცესები აღარ იქნება თანმდევი და შესაბამისად, მოხდება მათი გამიჯვნა. საფუძველი აღნიშნული ცვლილების არის ის, რომ აუცილებელია მონიტორინგის მექანიზმის დახვეწა და განვითარება. გარდა ამისა, ინსტიტუციების ზედმეტი დატვირთვა, მათი აკადემიური და ფინანსური რესურსების კუთხით არ ეხმიანება ევროპულ ღირებულებებსა და პრინციპებს, პირიქით აჩენს ზედმეტ ვალდებულებებს, რაც არ არის მიზნობრივი. თუკი ანგარიშებთან დაკავშირებით საბჭომ მიიჩნია, რომ რეკომენდაციის ფარგლები არის უკვე შესრულებული ინსტიტუციის მიერ და პროგრამა მიმდინარე ეტაპზე აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, ამ შემთხვევაში არ იყოს ცენტრისა და დაწესებულების რესურსები გადატვირთული და არამიზნობრივად გამოყენებული, ვინაიდან განსხვავებული შედეგი მოცემულ შემთხვევაში არ დადგება. თუკი ცვლილება იქნება მიღებული და კანონი დამტკიცდება, მოსალოდნელია, რომ განახლებული რედაქციით აკრედიტაციის დებულება ძალაში შევა პირველ თებერვლიდან.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა განმარტა, რომ საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში, სადაც დანიშნულია მონიტორინგი, აღნიშნული ავტომატურად გულისხმობს ანგარიშსაც, ვინაიდან მონიტორინგის შემდგომ, ინსტიტუციას უწევს ანგარიშის წარმოდგენა. აქედან გამომდინარე მონიტორინგმა შეითვისა ანგარიშის ფუნქცია, ამიტომ იზიარებდა ცენტრის წარმომადგენლის მოსაზრებას, რომ პროცესებს მეტი სიცხადე და დახვეწა სჭირდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სრულად უჭერს მხარს ცენტრის მიერ შემოთავაზებულ იდეას, ვინაიდან აუცილებელია მონიტორინგისა და ანგარიშის წარმოდგენის პროცესების ერთმანეთისგან გამიჯვნა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ თუ პირველ თებერვალს უკვე უნდა

იყოს მოცემული ცვლილება მიღებული, ხომ არ იქნებოდა ლეგიტიმური და მყარი საფუძველი საბჭოსთვის, რომ უკვე შემდგომ მომართვიანობის შემთხვევაში, განხილულიყო ყველა მსგავსი შუამდგომლობა.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ დაუშვებელია რიგი გადაწყვეტილებების ერთი პრინციპით მიღება, ხოლო დანარჩენი გადაწვეტილებების განსხვავებული პრინციპით. აუცილებელია, რომ ყველა ინსტიტუცია და პროგრამა იყოს თანაბარ პირობებში და მნიშვნელოვანია, რომ მიდგომა იყოს ერთი.
საბჭოს თავმჯდომარემ დაზუსტებისთვის აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო საბჭოს ჰქონოდა დეტალური ინფორმაცია, თუ რამდენია შუამდგომლობით დაყენებული სამი პროგრამის მსგავსი პროგრამა, ასევე 2021 წელს საბჭომ რამდენ პროგრამას განუსაზღვრა ანგარიშიც და მონიტორინგიც.
ცენტრის წარმომადგენელმა, ქეთევან ინანაშვილმა აღნიშნა, რომ შემდეგი საბჭოსთვის ცენტრი წარმოადგენს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკას და შესაბამის ვადებს ანგარიშისა და მონიტორინგისთვის. ცენტრი მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში საბჭოს გადაწყვეტილება იქნება სრულიად სამართლიანი.
სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენებააღნიშნული შუამდგომლობების შესახებ განხილვის მომდევნო საბჭოს სხდომაზე გაგრძელების საკითხი, რათა საბჭო დამატებით გაეცნოს დოკუმენტაციას.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
საბჭომ გადაწყვიტა, რომ აღნიშნული შუამდგომლობების შესახებ განხილვა მომდევნო საბჭოს სხდომაზე გაგრძელდეს, რათა საბჭო დამატებით გაეცნობოდა დოკუმენტაციას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 20:25 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ